



COVID-19-ის
გავლენა
სამართლებრივ
ურთიერთობებზე



გამოცემის ხელმძღვანელი

ნონა ქურდოვანიძე

ავტორები:

შორენა ლოლაძე
მარია დუმბაძე
ვერიკო ჯგერენაია
გიორგი ანთაძე
ცირა ჯანანაშვილი
დავით ლომთაძე
ანდრანიკ მინასიანი
ლაშა ბეჟიშვილი

რედაქტირება და დიზაინი

ხათუნა ყვირალაშვილი

ყდის დიზაინი

ნინო გაგუა

სამართლებრივი კითხვების არსებობის შემთხვევაში მოგვწერეთ
ელექტრონულ მისამართზე: legalaid@gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2020

სარჩევი

შესავალი.....	5
1. COVID-19 და შრომითი ურთიერთობები.....	6
1.1. ჩერდება თუ არა შრომითი ურთიერთობა COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში?.....	6
1.2. ჩერდება თუ არა შრომითი ურთიერთობა კარანტინსა ან თვითიზოლაციაში პირის ყოფნისას?.....	8
1.3. შეუძლია თუ არა დამსაქმებელს, დასაქმებულს შვებულებაში გასვლა მოსთხოვოს?.....	9
1.4. შეუძლია თუ არა დამსაქმებელს, COVID-19-ის გავრცელებით შექმნილი გარემოების გამო, დასაქმებული სამსახურიდან გაათავისუფლოს?.....	9
1.5. გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დასაქმებულის გაათავისუფლება.....	11
1.6. რა პროცედურით ხდება სამსახურიდან დასაქმებულის გაათავისუფლება?.....	11
1.7. რა პროცედურებია საჭირო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე და რა ვადაში შეიძლება მისი წარდგენა?.....	12
1.8. რა ვალდებულებები გააჩნია დამსაქმებელს უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად?.....	12
2. ფორსმაჟორის გავლენა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე.....	15
2.1. როგორ შეიძლება დადასტურდეს ფორსმაჟორის არსებობა?.....	16
2.2. რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს კონკრეტული გარემოებების ფორსმაჟორულად მიჩნევას?.....	16
2.3. რა პასუხისმგებლობები აკისრია მოვალეს ფორსმაჟორული გარემოების გამო ვალდებულების შეუსრულებლობისას.....	17
2.4. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ფორსმაჟორულმა გარემოებებმა ხანდაზმულობის, ადმინისტრაციული წარმოებისა და საპროცესო ვადებზე?.....	18
2.5. სასესხო/საკრედიტო ვალდებულებებზე ფორსმაჟორის ზემოქმედება..	19
3. საიჯარო და სალიზინგო ვალდებულებების შესრულება.....	23

4.	ლარის გაუფასურების გავლენა ვალდებულებების შესრულებაზე.....	25
5.	ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები.....	29
5.1.	დაუძლეველი ძალა.....	31
5.2.	მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა.....	31
6.	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების აქტუალური საკითხები.....	33
6.1.	რა უფლებები აქვს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს?...	34
6.2.	რა ასაკიდან შეიძლება, პირს დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა?.....	35
6.3.	რა ვადაში საჩივრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი?.....	35
6.4.	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მტკიცების ტვირთის განაწილება.....	35
7.	რა უფლებებით სარგებლობს პირი კარანტინსა ან იზოლაციაში მოთავსებისას?.....	36
8.	საგანგებო მდგომარეობის მოქმედებისას იძულებითი სააღსრულებო წარმოება.....	37
9.	ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობა.....	40
9.1.	ძალადობისგან დაცვის მექანიზმები.....	40

შესავალი

საქართველოში კორონავირუსის გავრცელება მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა როგორც ჯანმრთელობის, ისე ეკონომიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით. პანდემიამ გავლენა მოახდინა ქვეყანაში არსებულ თითქმის ყველა ურთიერთობაზე, მათ შორის, შრომით, საიჯარო, სალიზინგო თუ ტურისტული მომსახურების სფეროებზე. აქტუალური გახდა კითხვა იმის შესახებაც, შეიძლება თუ არა შექმნილი ვითარება ფორსმაჟორად ჩაითვალოს. დაწესებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია ლარის გაუფასურება, რამაც რთულ მდგომარეობაში ჩააყენა მოვალეები. პრობლემად რჩება უცხოურ ვალუტაზე (ძირითადად - დოლარზე) მიბმული სესხების და სხვა გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების საკითხიც.

პრობლემურია საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების, ასევე, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურებიც.

პანდემიის პარალელურად, მატულობს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის რისკები, რაც სახელმწიფოს მხრიდან პრევენციული ნაბიჯების გადადგმის საჭიროებაზე მიუთითებს.

დოკუმენტი მიმოიხილავს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე 2020 წლის 10 აპრილის მდგომარეობით მოქმედ კანონმდებლობას და დაინტერესებულ პირებს შესაბამის სამართლებრივ რჩევებს სთავაზობს.



COVID-19 და შრომითი ურთიერთობები

დღევანდელი მდგომარეობით, მთავრობის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და დაწესებული უსაფრთხოების ზომების გამო, დამსაქმებლები ეფექტიანი ღონისძიებების განსაზღვრის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ. არსებულ პირობებში აქტუალურია შემდეგი საკითხები:

- წარმოადგენს თუ არა შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს COVID-19-ით ინფიცირება;
- ჩერდება თუ არა შრომითი ურთიერთობა კარანტინსა და თვითიზოლაციაში პირის მოთავსებისას/ყოფნისას;
- შეუძლია თუ არა დამსაქმებელს დასაქმებულის შვებულებაში გაშვება მისი ნების საწინააღმდეგოდ;
- შეუძლია თუ არა დამსაქმებელს COVID-19-ის პირობებში დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;
- რა პროცედურების გავლაა საჭირო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე;
- რა ვალდებულებები გააჩნია დამსაქმებელს შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

1.1. ჩერდება თუ არა შრომითი ურთიერთობა COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში?

კორონავირუსის გავრცელების პირობებში დასაქმებულის მიზეზით შრომითი ურთიერთობის გაგრძელება სხვადასხვა ფაქტორმა შეაფერხა. ამ მიმართულებით ვხვდებით დასაქმებულთა 3 კატეგორიას:

- პირებს, რომელთაც დაუდასტურდათ COVID-19 და მოთავსებულნი არიან სამედიცინო დაწესებულებაში;
- პირებს, რომლებიც მოგზაურობის ისტორიისა ან/და კონტაქტებიდან გამომდინარე იმყოფებიან კარანტინში (იზოლაციაში);
- პირებს, რომლებიც ინფიცირებულებთან/სავარაუდო ინფიცირებულებთან კონტაქტის გამო იმყოფებიან თვითიზოლაციაში.

ზემოაღნიშნული მიზეზით დასაქმებულის მხრიდან სამუშაოს შეუსრულებლობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს შრომითი ურთიერთობის შეჩერება. ამ შემთხვევაში შრომითი ურთიერთობა ჩერდება დროებითი შრომისუუნარობის საფუძვლით. შესაბამისად, თუ დასაქმებული უარს იტყვის სამუშაოს შესრულებაზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარემოების მითითებით, დამსაქმებელი ვერ დაავალდებულებს მას მუშაობის გაგრძელებას და ვერც ამ საფუძვლით შეწყვეტს მასთან შრომით ხელშეკრულებას. ეს ეხება ისეთი ტიპის ეკონომიკურ საქმიანობებს, რომლებიც, მთავრობის დადგენილების თანახმად, ამ დროისთვის ჯერ კიდევ დასაშვებია (მათ შორის, დისტანციურ რეჟიმში).¹

შრომითი ურთიერთობა დროებითი შრომისუუნარობის გამო ჩერდება, თუ:

- მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს;
- 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს.²

დამსაქმებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს დასაქმებულს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საავადმყოფო ფურცლის წარდგენა. თუ გამოუცხადებლობის საერთო ხანგრძლივობა ზემოაღნიშნულ ვადას აღემატება, დამსაქმებელს უფლება აქვს, შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება.

დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში დასაქმებული იღებს შრომის ანაზღაურებას იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს გათვალისწინებულია შრომითი

¹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“, დანართი №1, №2, №3, №4.

² „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 36, მე-2 ნაწილი, „ი“ ქვეპ.

ხელშეკრულებით. დროებითი შრომისუუნარობის ვადის ამოწურვის შემდეგ დასაქმებული უფლებამოსილია, დამატებით გამოიყენოს ანაზღაურებადი ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულება.

1.2. ჩერდება თუ არა შრომითი ურთიერთობა კარანტინსა ან თვითიზოლაციაში პირის ყოფნისას?

თუ თვითიზოლაციაში მყოფი პირი დასაქმებულია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უფლებამოსილია, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს საავადმყოფო ფურცლის ტოლფასი სამართლებრივი შედეგების მქონე ცნობა. შესაბამისად, კარანტინი/თვითიზოლაცია გათანაბრებულია დროებით შრომისუუნარობასთან და ამ პერიოდში სამუშაოს შეუსრულებლობა მიიჩნევა საპატიოდ.³

თუ პირი საკუთარი სურვილით, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე იმყოფება თვითიზოლაციაში, მასზე არ გაცემა საავადმყოფო ფურცელი ან მისი ტოლფასი სამართლებრივი შედეგების მქონე ცნობა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ადგილი არ ექნება დროებითი შრომისუუნარობის გამო შრომითი ურთიერთობის შეჩერებას და დასაქმებულს გაცდენილი საათები არ ჩაეთვლება საპატიოდ.

თუ დასაქმებულს არ შეუძლია დამსაქმებლისთვის საავადმყოფო ფურცლის ან მისი ტოლფასი სამართლებრივი შედეგების მქონე ცნობის წარდგენა, თუმცა, სურს თვითიზოლაციაში ყოფნა, მას უფლება აქვს, გამოიყენოს კუთვნილი შვებულება.

³ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანება „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“, მუხლი 8¹.

1.3. შეუძლია თუ არა დამსაქმებელს, დასაქმებულს შვებულებაში გასვლა მოსთხოვოს?

შრომის კოდექსის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს:

- ანაზღაურებადი შვებულებით - წლის განმავლობაში მინიმუმ 24 სამუშაო დღე;
- არაანაზღაურებადი შვებულებით - წლის განმავლობაში მინიმუმ 15 კალენდარული დღე.⁴

შვებულების გამოყენების შესახებ დასაქმებულმა წინასწარ უნდა აცნობოს დამსაქმებელს.

შვებულება დასაქმებულის უფლებაა. შრომის კანონმდებლობა დამსაქმებელს არ აძლევს უფლებას, დასაქმებულთან იმგვარი შეთანხმება გააფორმოს, რომელიც ამ უკანასკნელს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნას აიძულებს.⁵

შესაბამისად, შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დასაქმებულის იძულებით შვებულებაში გაშვებას და აღნიშნული მხოლოდ დასაქმებულის თანხმობით არის შესაძლებელი.

1.4. შეუძლია თუ არა დამსაქმებელს, COVID-19-ის გავრცელებით შექმნილი გარემოების გამო, დასაქმებული სამსახურიდან გაათავისუფლოს?

სამსახურიდან გაათავისუფლება არის უკიდურესი ღონისძიება, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს გამონაკლის და მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, მყარი საფუძვლის არსებობის პირობებში.

⁴ „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 21, 1-ლი და მე-2 ნაწილები.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-140-140-2018.

დამსაქმებელი ვალდებულია, ყველა ზომა მიიღოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად.

დამსაქმებელს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ დაასაბუთებს, რომ COVID-19-ის გამო შექმნილი ვითარება იწვევს:

- ისეთ ეკონომიკურ გარემოებებს, ტექნოლოგიურ ან ორგანიზაციულ ცვლილებებს, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;

დამსაქმებელი შეზღუდულია კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით და ის ვალდებულია, ყველა ზომა მიიღოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურიდან მისი გათავისუფლება, შესაძლოა, უკანონო აღმოჩნდეს.

ამასთან, დამსაქმებლის უფლება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან, არ არის შეუზღუდავი.⁶ იგი უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, კანონით გათვალისწინებული დანაწესის ზუსტი დაცვით და, თანაც ისე, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას, მის შეწყვეტასთან შედარებით.

ეკონომიკური, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებების გამო პირის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები:

- ეკონომიკური აუცილებლობა, რომელიც გამორიცხავს შტატების კონკრეტული ოდენობით შენარჩუნების შესაძლებლობას;
- შტატების რეალური (და არა - თვალთმაქცური), კანონთან შესაბამისი შემცირება;

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 09 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1444-1364-2017.

- გათავისუფლებულთა შერჩევა უნდა მოხდეს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, რაც უნდა ემყარებოდეს ობიექტურ საფუძველს და არ ტოვებდეს დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლებლობას.⁷

1.5. გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დასაქმებულის გათავისუფლება

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა გამოსაცდელი ვადით დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ტენდენცია. ხშირად ამის მიზეზი დამსაქმებლისთვის, აღნიშნული გადაწყვეტილებების უკანონოდ მიჩნევის შემთხვევაში, ფინანსური დანაკარგის რისკების შემცირებაა. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, დამსაქმებელი გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულების პირობებშიც არ თავისუფლდება სამსახურიდან გაშვების საფუძვლის მითითებისა და მტკიცების ტვირთისგან. თუ დამსაქმებელი დასაქმებულს საშუალებას არ აძლევს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი და მას ამ ვადის გასვლამდე ათავისუფლებს, შესაძლოა, მტკიცების ტვირთი გადავიდეს დამსაქმებელზე, რომელმაც სრულად, ამომწურავად და თანმიმდევრობით უნდა უარყოს უკანონო გათავისუფლების ფაქტი.⁸

1.6. რა პროცედურით ხდება სამსახურიდან დასაქმებულის გათავისუფლება?

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაქმებულის გათავისუფლების საფუძველი, დამსაქმებელი ვალდებულია:

- 30 კალენდარული დღით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების საშუალებით აცნობოს დასაქმებულს მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე და გადაუხადოს მას 1 თვის კომპენსაცია.
- არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების საშუალებით აცნობოს დასაქმებულს მოსალოდნელი

⁷ „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 37, 1-ლი ნაწილი, „ა“ ქვეპ.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-227-216-2017.

გათავისუფლების თაობაზე და გადაუხადოს მას არანაკლებ 2 თვის კომპენსაცია.

1.7. რა პროცედურებია საჭირო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე და რა ვადაში შეიძლება მისი წარდგენა?

გათავისუფლების თაობაზე მიღებული შეტყობინების (ბრძანების) მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დასაქმებულს უფლება აქვს, დამსაქმებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის წერილობითი დასაბუთება (იმ შემთხვევაში, თუ ბრძანება არ შეიცავს დეტალურ დასაბუთებას). დასაბუთებაში მითითებული უნდა იყოს არა მხოლოდ შრომის კოდექსის კონკრეტული მუხლი, რომლის საფუძველზეც წყდება ურთიერთობა, არამედ ამ გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი გარემოებებიც შესაბამის მტკიცებულებებზე მითითებით. დამსაქმებელი ვალდებულია, მოთხოვნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში გადასცეს დასაბუთება გათავისუფლებულ პირს.

იმ შემთხვევაში, თუ გათავისუფლებულ პირს მიაჩნია, რომ უკანონოდ გაათავისუფლეს, უფლება აქვს, დადგენილ ვადებში სარჩელით მიმართოს სასამართლოს. დასაქმებულს სარჩელის შეტანის უფლება აქვს დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო, თუ დამსაქმებელი პირს გათავისუფლების დასაბუთებას არ აბარებს, მაშინ გასაჩივრების ვადა აითვლება დასაბუთების შესახებ მოთხოვნის ჩაბარებიდან 7 დღის გასვლიდან და ასევე შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.

1.8. რა ვალდებულებები გააჩნია დამსაქმებელს უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად?

შრომის კოდექსის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნით, მათ შორის:

- იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;

- უზრუნველყოს ინდივიდუალური და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი.⁹

დასაქმებულს უფლება აქვს, უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივ გარემოს. დასაქმებული ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიეცა უფლება, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გააკონტროლოს სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება.¹⁰

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორისთვის შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია შემდეგი:

- დამსაქმებლებმა უნდა შეიმუშაონ ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა;
- ყველა დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს ჰიგიენის და ინფექციის კონტროლის სათანადო პრაქტიკის განხორციელება;

⁹ „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 35, 1-ლი ნაწილი.

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილება საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ.

- დამსაქმებლებმა უნდა შეიმუშაონ იმ პირთა დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთაც COVID-19-ის ნიშნები და/ან სიმპტომები აქვთ.¹¹

პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ:

- მათ დატოვეს უცხო ქვეყნის ტერიტორია ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეთა კატეგორიას: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები.¹²

შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია, გაატაროს კონტროლის ყველა ღონისძიება და დაიცვას დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოება. სამუშაო ადგილზე ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა როგორც ზოგადი ხასიათის, ისე თითოეული სექტორის საქმიანობის სპეციფიკაზე მორგებული რეკომენდაციები.¹³

¹¹ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის ბრძანება №01-149/მ სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე, შესაბამისი დანართებით.

¹² იქვე, დანართი №1.

¹³ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის ბრძანება №01-149/მ სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე, შესაბამისი დანართებით.



ფორსმაჟორის გავლენა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ფორსმაჟორის ცნებას, თუმცა, სამოქალაქო კოდექსში თავმოყრილი დანაწესები და ქართული სასამართლო პრაქტიკა იძლევა საშუალებას, ჩამოვაყალიბოთ ფორსმაჟორის ერთგვარი განმარტება. კერძოდ, **ფორსმაჟორი, იგივე დაუძლეველი ძალა - ეს არის მხარეთა ნებისგან დამოუკიდებელი, განსაკუთრებული მოვლენები, ობიექტურად არსებული გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის მოვალის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას და რომლის გათვალისწინებაც მხარეებს წინასწარ არ შეეძლოთ.**

ზემოთ აღნიშნული განმარტება პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც კონკრეტული ხელშეკრულება არ შეიცავს ფორსმაჟორის ცნებას. თუ მხარეები მას თავად განსაზღვრავენ, დავის გადაწყვეტისას სასამართლო სწორედ ამ შეთანხმებით ხელმძღვანელობს.

შესაბამისად, ფორსმაჟორთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში შესაბამისი ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო კონკრეტულ გარემოებას ფორსმაჟორულად მიიჩნევს, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ წინაპირობებს:

- გარემოება წარმოშობილია მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად;
- მისი გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ ხელშეკრულების დადებისას;
- გარემოება არის მხარის კონტროლის სფეროს მიღმა;
- გარემოება შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო წყვეტს - არის თუ არა სახეზე ვალდებულების შეუსრულებლობა ფორსმაჟორული ვითარების გამო. ეს ნიშნავს, რომ ერთი და იგივე გარემოება, შეიძლება, ერთ შემთხვევაში მიჩნეული იყოს ფორსმაჟორულად, მეორე შემთხვევაში - არა.

თავისი არსით, არსებული პანდემია წინასწარ განუჭვრეტადი და მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად წარმოშობილი, მხარეთა კონტროლის სფეროს მიღმა არსებული მოვლენაა. თუმცა, ზემოაღნიშნულის გარდა, გარემოების ფორსმაჟორულად მიჩნევისთვის, აუცილებელია, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა პირდაპირ იყოს დაკავშირებული COVID-19-ით განპირობებულ მოვლენებთან. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, იყო თუ არა COVID-19-ით გამოწვეულ გარემოებასა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.

2.1. როგორ შეიძლება დადასტურდეს ფორსმაჟორის არსებობა?

ფორსმაჟორული გარემოების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ითხოვს გარემოების ასეთად მიჩნევას. კანონი ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს კონკრეტული სახის მტკიცებულებების საჭიროებას. ფორსმაჟორული გარემოების არსებობის დასამტკიცებლად შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ არსებობდა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის განმაპირობებელი დაუძლეველი ძალა. გარემოების ფორსმაჟორად მიჩნევის საკითხის გადაწყვეტა დავის არსებობისას წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას.

2.2. რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვას კონკრეტული გარემოებების ფორსმაჟორულად მიჩნევას?

COVID-19-ით განპირობებული გარემოებების ფორსმაჟორულად მიჩნევის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობები შეიძლება რამდენიმე სცენარით განვითარდეს:

- **შუქღებელია ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, თუმცა, კრედიტორს შესრულების მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს** - ასეთ შემთხვევაში, მხარე თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან ფორსმაჟორული გარემოების არსებობის ვადით, ხოლო მისი აღმოფხვრის შემდეგ მოუწევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. დაუძლეველი ძალით განპირობებული ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება წარმოადგენდეს სახელშეკრულებო სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი მეორადი ვალდებულებისგან (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება) გათავისუფლების წინაპირობას.¹⁴
- **შუქღებელია ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, კრედიტორი კარგავს ინტერესს სამომავლო შესრულების მიმართ** - მხარეებს უფლება აქვთ, უარი თქვან ხელშეკრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, გამოირიცხება მოვალის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.
- **მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაგრძელების ინტერესის არსებობისას ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან** - როდესაც მხარეებს აქვთ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიმართ ინტერესი, თუმცა, ვერ ხერხდება პირვანდელი სახით მათი შესრულება, შესაძლოა, მოხდეს პირობების შეცვლა.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ თანხმდებიან შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების პირობებზე, შესაძლებელია, მხარემ უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე.¹⁵

2.3. რა პასუხისმგებლობები აკისრია მოვალეს ფორსმაჟორული გარემოების გამო ვალდებულების შეუსრულებლობისას?

- ხელშეკრულებაში ფორსმაჟორის, მისი არსებობის დადასტურების, კრედიტორის ინფორმირების ვალდებულების შესახებ დათქმის

¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/4450-10.

¹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 399, 1-ლი ნაწილი.

არსებობის შემთხვევაში, მოვალის პასუხისმგებლობები სწორედ ხელშეკრულების შესაბამისად განისაზღვრება. მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და ვადების დაცვით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კრედიტორს ფორსმაჟორულ გარემოებებთან დაკავშირებით, რათა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს;

- ხელშეკრულებაში ფორსმაჟორის ან ინფორმირების ვალდებულების შესახებ ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში, კანონმდებლობაში არ მოიძებნება ნორმა, რომელიც მხარეს კრედიტორის ინფორმირებას დაავალდებულებდა. თუმცა, იმისთვის, რომ მხარემ იმოქმედოს კეთილ-სინდისიერების ფარგლებში და სამომავლოდ მზად იყოს დავისთვის, უმჯობესია, პირველი შესაძლებლობისთანავე, ფორსმაჟორულ გარემო-ებაზე მითითებით, წერილობით შეატყობინოს კრედიტორს, რომ ვერ ახერხებს ვალდებულების ჯეროვან შესრულებას.

2.4. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ფორსმაჟორულმა გარემოებებმა ხანდაზმულობის, ადმინისტრაციული წარმოებისა და საპროცესო ვადებზე?

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა.¹⁶ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის რეკომენდაციით,¹⁷ კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დროებით, მოქალაქეებს მიეცათ სარჩელის ელექტრონულად უფასოდ წარდგენის შესაძლებლობა.¹⁸ თუმცა, ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს COVID-19-ით გამოწვეულ გარემოებათა გამო ხანდაზმულო-ბის დენის შეჩერების შესაძლებლობას. კერძოდ, თუ პირი დაასაბუთებს, რომ მას ფორსმაჟორულმა გარემოებამ შეუშალა ხელი, ჰყოლოდა

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 132.

¹⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის რეკომენდაცია „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, ხელმისაწვდომია - <https://bit.ly/2Xsq3Wa> [ნანახია: 10.04.2020].

¹⁸ სასამართლო საქმის რეგისტრაციის სერვისი, ხელმისაწვდომია - www.ecourt.ge [ნანახია: 10.04.2020].

წარმომადგენელი ან/და წარედგინა სარჩელი ელექტრონულად, შეიძლება, სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ჩაითვალოს;

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად, მათ შორის, დაუძლეველი ძალის გამო, მაშინ გაშვებული ვადა უნდა აღდგეს.¹⁹ დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნულ გარემოებათა აღმოფხვრიდან 15 დღის განმავლობაში უნდა მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ვადის აღდგენის შესახებ წერილობითი განცხადებით. განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებს ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის არსებობას. COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების დაუძლეველ ძალად მიჩნევის საკითხიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საპროცესო კანონისმიერ ვალებს, რომლებიც მკაცრად არის განსაზღვრული (მაგალითად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა) და სასამართლოს მიერ განსაზღვრულს ვალებს, როდესაც საპატიო მიზეზის არსებობისას შესაძლებელია საპროცესო ვადის გახანგრძლივება (მაგალითად, შესაგებლის წარდგენა). კანონით მკაცრად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება დაუშვებელია, მათ შორის, ფორსმაჟორული გარემოების არსებობისას.²⁰ იმ შემთხვევებში კი, როდესაც კანონი ითვალისწინებს ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, ფორსმაჟორი შეიძლება მიჩნეული იყოს საპატიო გარემოებად.²¹

2.5. სასესხო/საკრედიტო ვალდებულებებზე ფორსმაჟორის ზემოქმედება

საქართველოში არსებული კომერციული ბანკების მიერ მრავალჯერადი გამოყენებისთვის განკუთვნილ სტანდარტულ სესხის ხელშეკრულებებში, როგორც

¹⁹ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 94.

²⁰ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 59, მე-4 ნაწილი.

²¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 233, 1-ლი ნაწილი, „ბ“ ქვეპ.

წესი, ვხვდებით ფორსმაჟორის/დაუძლეველი ძალის ცნებას. სტანდარტული პირობების თანახმად, მხარემ, რომლისთვისაც დადგა ფორსმაჟორული/დაუძლეველი ძალის შემთხვევა, უნდა მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ვითარების დადგომისთანავე და აცნობოს, თუ რატომ არის მისთვის შეუძლებელი ან გართულებული ვალდებულების შესრულება. ამასთან, ასეთ ხელშეკრულებებში, როგორც წესი, აღნიშნულია, რომ პირს ვალდებულების შესრულება გადაუვადდება ფორსმაჟორული მდგომარეობის/დაუძლეველი ძალის დასრულებამდე, რისთვისაც მან განცხადებით უნდა მიმართოს კომერციულ ბანკს.

თუ სესხის/კრედიტის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს დაუძლეველი ძალის/ფორსმაჟორის ცნებას, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ფორსმაჟორთან დაკავშირებით არსებული ზოგადი მიდგომა და ხდება ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან.²²

შეცვლილი გარემოების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება, მოთხოვნა გარემოების წარმოშობის მომენტიდან მოგვიანებითაც გაკეთდეს. აღნიშნულს განაპირობებს ის რეალობა, რომ ზოგ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლა ხდება თანდათან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ და მოვლენებს საკმაოდ ხანგრძლივი განვითარება აქვს.²³

COVID-19-ით გამოწვეული ფორსმაჟორული ვითარება/დაუძლეველი ძალა შეიძლება სხვადასხვა მოვალისთვის სხვადასხვა დროს დადგეს ან საერთოდ არ დადგეს. აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტული ვითარება ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს სრულად.

თუ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ფორსმაჟორული ვითარების/დაუძლეველი ძალის მიუხედავად, მხარეები ვერ შეთანხმდებიან შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგებაზე, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება, მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. შესაბამისად, თუ პირი დაამტკიცებს, რომ მან ვალდებულება ნაწილობრივ ან სრულად ვერ შეასრულა ფორსმაჟორული ვითარების/დაუძლეველი ძალის გამო, იგი გათავისუფლდება იმ სანქციებისგან, რომლებიც შეიძლება

²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 06 ივლისის განჩინება, საქმე №ას-7-6-2010.

გათვალისწინებული იყოს ხელშეკრულებით (მაგალითად, ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოს (ჯარიმისა და საურავის) დაკისრება).

- **კომერციულ ბანკებში დღეს მოქმედი შეღავათები**

საქართველოში არსებული კომერციული ბანკების დიდმა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება, ფიზიკურ პირებსა და კონკრეტულ შემთხვევებში - იურიდიულ პირებს სამი თვით გადაუვადოს სასესხო ვალდებულებების შესრულება.

საქართველოს მთავრობის მიერ მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის დაწესდა გარკვეული შეღავათები აღნიშნულ ინდუსტრიაში ჩართული მეწარმე სუბიექტებისთვის.²⁴

- **საქართველოს ეროვნული ბანკის როლი COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის მართვაში**

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მონაწილეობა კრიზისული სიტუაციებისთვის მომზადებასა და მართვაში. ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულ ბანკში შექმნილია ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციებისა და ფინანსური კრიზისის მართვის მექანიზმების შემუშავებაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებით, „კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა დროებითი საზედამხედველო გეგმა, რომელიც სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკის და სხვა წამყვანი ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციებთან.“ ამასთან, ეროვნული ბანკი აკვირდება მიმდინარე მოვლენებს, „მუდმივ კომუნიკაციაშია საფინანსო

²⁴ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 მარტის დადგენილება №177 „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდის მიერ მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის შემუშავებული მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ“.

სექტორთან და, თუკი ვირუსის შედეგად შემცირებული ეკონომიკური აქტივობისა და სირთულეების გამო, უმოქმედო სესხების წილი და საკრედიტო დანაკარგები მოსალოდნელზე მეტად გაიზრდება, ეროვნული ბანკი აამოქმედებს მის ხელთ არსებულ სხვა ინსტრუმენტებს და მიიღებს დამატებით გადამჭრელ ზომებს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.“²⁵

თუ COVID-19-ით გამოწვეული ფინანსური კრიზისი რეალურ საფრთხეს შეუქმნის მომხმარებელთა სახსრებისა და აქტივების დაცვას ან იარსებებს ეროვნული ბანკის ჩარევის აუცილებლობა ფინანსური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ბანკი უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით, დროებით შემოიღოს **მორატორიუმის რეჟიმი** კომერციული ბანკის ვადამოსული ვალდებულებების მიმართ, ან/და მხარეს შეუზღუდოს კომერციულ ბანკთან დადებული „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულების მიმართ აღრეული შეწყვეტის უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობა.²⁶ აგრეთვე, ეროვნული ბანკი კრიზისის შემთხვევაში უფლებამოსილია, გააუქმოს კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული სავალო ინსტრუმენტები და სხვა ვალდებულებები (გარდა უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა), ან შეცვალოს მათი დაფარვის ვადა, საპროცენტო განაკვეთი ან/და პროცენტის გადახდის პერიოდულობა/ვალები.

²⁵ ეროვნული ბანკის საზედამხედველო გეგმა COVID-19-თან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3901> [ნანახია 10.04.2020].

²⁶ კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულება – ნებისმიერი ფინანსური შეთანხმება, ხელშეკრულება ან გარიგება (მათ შორის, ნებისმიერი წესი ან პირობა, რომელიც უკავშირდება ამ ფინანსურ შეთანხმებას, ხელშეკრულებას ან გარიგებას ან მის რომელიმე ნაწილს), რომელიც ექვემდებარება ურთიერთგაქვითვის შეთანხმებას და, რომლის მიხედვით, ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი გადახდის ან მიწოდების ვალდებულება განსაზღვრულ დროს ან განსაზღვრულ პერიოდში უნდა შესრულდეს და შეიძლება რაიმე პირობასა ან შემთხვევითობაზე იყოს დამოკიდებული, „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, „ზ“ ქვეპ.



საიჯარო და სალიზინგო ვალდებულებების შესრულება

შრომითი ურთიერთობების შეჩერებამ/შეწყვეტამ და ბიზნესისთვის დაწესებულმა შეზღუდვებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ადამიანთა შემოსავლებზე, რის გამოც ისინი ვეღარ ახერხებენ ვალდებულებების შესრულებას - საიჯარო ქირის, სალიზინგო კომპანიებისთვის თანხის გადახდას და სხვა. უპირველესად, საიჯარო ურთიერთობებს პრობლემა შეუქმნა საგანგებო მდგომარეობის პირობებში დიდი სავაჭრო ცენტრებისა თუ ბაზრობების ფუნქციონირების შეზღუდვამ.

მოქმედი რეგულაციების მიხედვით, იჯარის ხელშეკრულებით, მეიჯარე ვალდებულია, გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა. კონკრეტულ შემთხვევებში დღეს მოქმედი რეგულაციები მოიჯარეთა უმეტესობას ადარ აძლევს კომერციული საქმიანობის განხორციელებისა და საიჯარო ფართისგან „ნაყოფის“ მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, მათ არ აქვთ ფინანსური რესურსი, მეიჯარეებს გადაუხადონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა. ამის მიუხედავად, არის შემთხვევები, როდესაც კომერციული დაწესებულების მესაკუთრეები კატეგორიულ უარს ამბობენ თანხის გადახდისგან გათავისუფლებასა ან მის შემცირებაზე.

სალიზინგო ხელშეკრულების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი ვალდებულია, ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია, გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით.

უმეტესად, ასეთ დროს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად სწორედ ლიზინგის ხელშეკრულების საგანია განსაზღვრული, ხელშეკრულებაში კი, მითითებულია, რომ ვალდებულების პირველივე შეუსრულებლობისას სალიზინგო კომპანიას შეუძლია, მოითხოვოს ლიზინგის საგნის დაბრუნება.

თუ ლიზინგის გამცემს აქვს ლიზინგის მოწმობა, მას უფლება აქვს, მოითხოვოს ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნება იძულების წესით, სააღსრულებო დაწესებულებისთვის ლიზინგის მოწმობის წარდგენის საფუძველზე, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, თუ ლიზინგის საგანია²⁷ სატრანსპორტო საშუალება ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება.

ამ მიმართულებით ერთიანი სასამართლო პრაქტიკის არარსებობის პირობებში რთულია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ როგორი იქნება სასამართლოების მიდგომა მსგავსი საქმეების განხილვისას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მოიჯარებმა თუ ლიზინგის მიმღებებმა იმოქმედონ მაქსიმალურად კეთილსინდისიერად და დაუყოვნებლივ წერილობით (დაზღვეული ფოსტის მეშვეობით) აცნობონ კრედიტორებს შესაბამისი ვალდებულების გადახდის შეუძლებლობის თაობაზე. ეს მნიშვნელოვანია სასამართლოში იმის მტკიცებისთვის, რომ მოვალე კეთილსინდისიერად უდგებოდა თავის პასუხისმგებლობებს, კრედიტორი გაფრთხილებული იყო მის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ და, რომ არა ფორსმაჟორული ვითარება, ვალდებულება აუცილებლად შესრულდებოდა.

²⁷ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 53, 1-ლი პუნქტი.



ლარის გაუფასურების გავლენა ვალდებულებების შესრულებაზე

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტა - **ლარი** - არის ერთადერთი საგადასმდელო საშუალება (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა შემოსავალს სწორედ ეროვნულ ვალუტაში იღებს. თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე, მხარეებს ფულადი ვალდებულების დადგენა უცხოურ ვალუტაშიც შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში უცხოური ვალუტა²⁸ (მაგალითად, დოლარი ან ევრო) იქნება ვალის ვალუტა, ხოლო ლარი - გადახდის ვალუტა, რაც, ლარის გაუფასურების ფონზე, მოვალეებისთვის მთელ რიგ სირთულეებს წარმოშობს.

საქართველოს კანონმდებლობით განმტკიცებულია „ნომინალიზმის“ პრინციპი, რომლის თანახმადაც, მოვალე ვალდებულია, ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა.²⁹ მაგალითად, თუ 2019 წლის პირველ ივლისს ხელშეკრულების საფუძველზე იკისრეთ 1 000 ლარის 1 წლის შემდეგ გადახდის ვალდებულება, მაშინ ხელშეკრულების შესრულების ვალის დადგომისას, 2020 წლის პირველ ივლისს, უნდა გადაიხადოთ 1 000 ლარი, მიუხედავად იმისა, გადახდის დროისთვის რა მსყიდველობითი უნარი ექნება ლარს (იქნება ის გაუფასურებული თუ გამყარებული). მაგრამ, თუ ხელშეკრულებით ვალის ვალუტად განსაზღვრულია, მაგალითად, 1 000 აშშ დოლარი, მაშინ

²⁸ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 330; მესხიშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, 08.04.2020, მუხლი 383, ველი 8; მესხიშვილი, ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე (ნომინალიზმის პრინციპი ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით), ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა, V გამოცემა, 2016, 2.

²⁹ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 347; მესხიშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge 08.04.2020, მუხლი 389, ველი 3.

ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას უნდა გადაიხადოთ 1 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში უნდა მოხდეს ვალდებულების შესრულების დროს - 2020 წლის პირველ ივლისს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, რაც, დიდი ალბათობით, არ დაემთხვევა ვალდებულების წარმოშობის (ხელშეკრულების დადების) დროს მოქმედ გაცვლით კურსს.

„ნომინალიზმის პრინციპის“ დამდგენი ნორმები არის დისპოზიციური ხასიათის, რაც მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენონ სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის მიერ შემუშავებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები - ე.წ. დამცავი დათქმები, რომლებიც მიმართულია ვალუტის გაუფასურებისგან დასაცავად.³⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლარის გაუფასურების (მსყიდველობითი უნარის შემცირების) უარყოფითი შედეგების მინიმალიზაციისთვის, უმჯობესია:

- გრძელვადიანი ხელშეკრულებების დადებისას ვალის ვალუტად მიეთითოს ეროვნული ვალუტა - ლარი;
- თუ ვალის ვალუტად მაინც მიეთითება უცხოური ვალუტა, მაშინ ხელშეკრულებითვე განისაზღვროს ვალუტის კურსის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი. ამ გზით მოვალე დაცული იქნება ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილებისგან, რაც, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ფინანსურ ზარალთან;
- თუ უცხოურ ვალუტაშია ნაკისრი ვალდებულება, მაშინ კრედიტორთან შეთანხმებით მოხდეს თანხის კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში (იმ შემთხვევაში, თუ კორონავირუსის პანდემიის დამთავრების შემდეგ ლარი ისევ გამყარდება, ეს შეთანხმება შეიძლება ზიანის მომტანი აღმოჩნდეს მოვალისთვის).

ნომინალიზმის პრინციპი არ არის აბსოლუტური ხასიათის და განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა ფულის მსყიდველობითი უნარის მკვეთრი ცვლილება, შესაძლებელია ამ პრინციპიდან გამონაკლისის დაშვება და

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის №ას-1298-2018 განჩინება, პუნქტი 98.

ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან.³¹ აღნიშნული არ ეხება ფულის კურსის ნორმალურ ცვლილებას, რაც მხარეთა რისკის სფეროს მიეკუთვნება.³²

ცალკეული შემთხვევების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, არის თუ არა ფულის მსყიდველობითი უნარის ცვლილება იმგვარი, რომ შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების საშუალებას იძლეოდეს.³³ ამისთვის, აუცილებელია, არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები.³⁴

შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების საკითხი წყდება მხარეთა შეთანხმებით. ისინი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები აღნიშნულის თაობაზე.³⁵ მხარეთა შეთანხმებლობის შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანის მიმართვის საფუძველზე, ხელშეკრულებას შეცვლილ გარემოებებს მიუსადაგებს სასამართლო.³⁶

აღსანიშნავია, რომ ნომინალიზმის პრინციპი და შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება გამოიყენება ვალის ვალუტის მიმართ, ხოლო გადახდის ვალუტის ღირებულების შეცვლა არანაირ გავლენას არ ახდენს ვალდებულების ეკონომიკურ შინაარსზე.³⁷ შესაბამისად, თუ ვალის ვალუტად განსაზღვრულია უცხოური ვალუტა, იმისთვის, რომ მოხდეს ხელშეკრულების

³¹ შდრ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ტომი I, თბილისი, 2001, 399; მესხიშვილი, ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე (ნომინალიზმის პრინციპი ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით), ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა, V გამოცემა, 2016, 10.

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის №ას-1298-2018 განჩინება, პუნქტი 101; შდრ. მესხიშვილი, ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე (ნომინალიზმის პრინციპი ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით), ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა, V გამოცემა, 2016, 10.

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის №ას-1298-2018 განჩინება, პუნქტი 100; ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ტომი I, თბილისი, 2001, 349; მესხიშვილი, ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე (ნომინალიზმის პრინციპი ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით), ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა, V გამოცემა, 2016, 10.

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის №ას-1298-2018 განჩინება, პუნქტი 101.

³⁵ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ტომი I, თბილისი, 2001, 406.

³⁶ იქვე, 407.

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის №ას-1298-2018 განჩინება, პუნქტი 97.

მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან, აუცილებელია სწორედ უცხოური ვალუტის მსყიდველობითი უნარის მკვეთრი ცვლილება, ხოლო გადახდის ვალუტის - ლარის მსყიდველობითი უნარის ცვლილება ვერ წარმოშობს შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლებას.



ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები

კორონავირუსის ფართოდ გავრცელების პრევენციის მიზნით საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლის აკრძალვამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებებზე.

მიმდინარე ტენდენციის მიხედვით, იკვეთება 2 ძირითადი შემთხვევა:

- სახელმწიფო რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოგზაურებმა უარი თქვეს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებებზე;
- სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვის შემდგომ შეუძლებელი აღმოჩნდა ტურისტული მომსახურებით სარგებლობა.

კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით მოგზაურობის მომწყობი (ტურისტული საწარმო) მოვალეა, ტურისტს (მოგზაურს) შეთანხმებული მომსახურება გაუწიოს. ტურისტი, თავის მხრივ, ვალდებულია მოგზაურობის მომწყობს გადაუხადოს შეპირებული ანაზღაურება გაწეული მომსახურებისთვის.³⁸

ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, უმეტესად - მოგზაურებს, უკვე გადახდილი აქვთ შესაბამისი თანხა მომსახურებისთვის. პირები, რომლებმაც უარი თქვეს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაზე, ტურისტული კომპანიებისგან ითხოვენ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას. პრაქტიკაში პრობლემურია სწორედ ამ თანხების მოგზაურებისთვის დაბრუნების საკითხი.

³⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 657.

ტურისტული კომპანიები, ერთ შემთხვევაში, უარს აცხადებენ მომსახურების საფასურის დაბრუნებაზე იმ საფუძვლით, რომ ქვეყანა, სადაც პირი მიემგზავრებოდა, არ აბრუნებს თანხას, ან სასტუმროებს არ აქვთ თანხის დაბრუნების პოლიტიკა. მეორე მხრივ, კომპანიების ნაწილი ირწმუნება, რომ რამდენიმე დღეში დააბრუნებენ თანხას, რადგან თავადაც ავიაკომპანიებისა და სხვა პარტნიორი კომპანიებისგან ელოდებიან თანხის დაბრუნებას.

აღსანიშნავია, რომ „მხოლოდ ერთი მომსახურების გაწევა ვერ მიიჩნევა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებად, რადგან ტურისტული მომსახურების პაკეტი შედგება ტურისტული მომსახურების ორი ან ორზე მეტი კომპონენტისგან (კვება, საცხოვრებელი, სატრანსპორტო მომსახურება და სხვა), რომელთა ღირებულება შედის პაკეტის ფასში.“³⁹ ამდენად, ვინაიდან ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება ტურისტულ კომპანიასა და მოგზაურს შორის დაიდო, ის ფაქტი, რომ მას თანხას არ უბრუნებენ სხვა პარტნიორი კომპანიები, შესაძლოა, არ იყოს ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლების საფუძველი.

სამოქალაქო კოდექსი ტურისტს უფლებას ანიჭებს, მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე.⁴⁰ ტურისტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმისას მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული საზღაურის მიღების უფლებას. ამავე დროს, მას შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება შეთანხმებული ანაზღაურების საფუძველზე, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მას შეეძლო, მიეღო თავისი მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნა ტურისტულ საწარმოს მხოლოდ ხარჯების მოთხოვნის უფლებას უტოვებს და გამორიცხავს მისთვის მიუღებელი შემოსავლის (მოგების) ანაზღაურებას.⁴¹

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის №ას-129-121-2017 გადაწყვეტილება, პუნქტი 22.

⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 665.

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 ნოემბრის №ას-1114-2019 გადაწყვეტილება.

5.1. დაუძლეველი ძალა

ტურისტულ მომსახურებასთან მიმართებით კანონმდებლობა აწესრიგებს დაუძლეველი ძალით გამოწვეულ შედეგებს.⁴² კერძოდ, თუ მოგზაურობა არსებითად გაძნელდება, ან წარმოიშობა სხვა საფრთხე, ან ტურისტს მიადგება ზიანი ხელშეკრულების დადებისას გაუთვალისწინებელი დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად, მაშინ, როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის მომწყობს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება.

დაუძლეველი ძალის გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ მას შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება უკვე გაწეული უხარვეზო მომსახურებისთვის.⁴³

ზოგადად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების გასვლას ან/და დაუძლეველი ძალის შედეგებთან დაკავშირებით კანონისგან განსხვავებული პირობები განსაზღვრონ. თუმცა, ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებული წესები არ უნდა შეიცვალოს მოგზაურის საზიანოდ.⁴⁴ შესაბამისად, თუ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მოგზაურს უზღუდება ხელშეკრულებიდან გასვლა ან სხვაგვარად არის მისი უფლებები შეზღუდული, აღნიშნული, შესაძლოა, იყოს კანონსაწინააღმდეგო და ბათილი.

5.2. მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა

ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როდესაც, ხელშეკრულებით, მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო. თუ ტურისტი მოთხოვნას წარადგენს ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდე, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ დღემდე, რომელ დღესაც მოგზაურობის მომწყობი უარყოფს მოთხოვნას.

⁴² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 666.

⁴³ იხ. სქოლიო 37.

⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 667.

სასამართლო პრაქტიკით, ტურისტის მიერ მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ ერთი თვის ვადაში მეორე მხარისთვის მოთხოვნის წაყენების პირობა ეხება მხოლოდ მოგზაურობის ხარვეზებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ ისარგებლებს იმ ნორმით, რომლის თანახმად, ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეს შეადგენს.⁴⁵ შესაბამისად, ტურისტმა თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით მოთხოვნა უნდა წარადგინოს ხანდაზმულობის 6-თვიანი ვადის გასვლამდე.

⁴⁵ იხ. სქოლიო 39.



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების აქტუალური საკითხები

საგანგებო მდგომარეობის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და იწვევს ფიზიკური პირის – 3000 ლარით და იურიდიული პირის – 15000 ლარით დაჯარიმებას. იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.⁴⁶ ასევე, გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი იზოლაციის ან კარანტინის წესების დამრღვევი პირის იძულებით გადაყვანა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ადგილას.

ხსენებული სამართალდარღვევების პრევენცია და მათზე რეაგირება წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას. ამდენად, შსს-ს თანამშრომელთა ვალდებულებაა საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, მისი გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადება და დამრღვევისთვის საჯარიმო ქვითრის ჩაბარება.

სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვადა შეადგენს 30 დღეს.⁴⁷ თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ფარგლებში შეჩერებულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა

⁴⁶ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტი №1, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, მუხლი 8.

⁴⁷ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, მუხლი 290, 1 ნაწილი.

და განხილვის ვადები,⁴⁸ გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება საგანგებო მდგომარეობის ვადის ამოწურვიდან. შესაბამისად, დაჯარიმებულ პირს უფლება აქვს საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს საჩივარი სამართალდარღვევის ოქმის გაუქმების მოთხოვნით, ან 30 დღის ვადაში გადაიხადოს შესაბამისი ჯარიმა.

6.1. რა უფლებები აქვს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს?

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს:

- გაეცნოს საქმის მასალებს;
- მისცეს ახსნა-განმარტებები;
- წარადგინოს მტკიცებულებები (ფოტო/ვიდეო ჩანაწერი, მოწმეთა ჩვენება და ა.შ.);
- დააყენოს შუამდგომლობები;
- საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით;
- თუ არ იცის ქართული ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;
- გაასაჩივროს მიღებული დადგენილება;
- მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში.

(სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას, სავარაუდო დამრღვევს უნდა განემარტოს მისი უფლებები და მოვალეობები).

⁴⁸ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტი №1, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებულ ღონისძიებათა შესახებ, მუხლი 13, 1-ლი პუნქტი.

6.2. რა ასაკიდან შეიძლება, პირს დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა?

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისთვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირს.⁴⁹ 16 წლამდე ასაკის პირის მიერ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება მის მშობელს ან ბავშვის სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

6.3. რა ვადაში საჩივრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი?

სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისთვის მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. თუმცა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ამ დროისთვის ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები შეჩერებულია.⁵⁰

6.4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მტკიცების ტვირთის განაწილება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვისას სასამართლო და უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) მოვალენი არიან, უზრუნველყონ პირის სამართალდამრღვევად მიჩნევისთვის აუცილებელი სათანადო არგუმენტაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც უტყუარად დაადასტურებს სამართალდარღვევის ჩადენას. დაუშვებელია მხოლოდ ერთი მხარის – სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ცალმხრივად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადგენა.

⁴⁹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 13.

⁵⁰ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის დადგენილება №181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“.



რა უფლებებით სარგებლობს პირი კარანტინსა ან იზოლაციაში მოთავსებისას?

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურს უფლება აქვს, ფიზიკურ პირს მოსთხოვოს სამედიცინო შემოწმების გავლა, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი გადამდები დაავადების მატარებელია და საფრთხეს უქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას.

აღნიშნული უნდა განხორციელდეს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვით. კერძოდ:

- გადაწყვეტილება პირის იზოლაციასა ან კარანტინში მოთავსების თაობაზე უნდა აღასრულოს შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა);
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იზოლირებული ან/და კარანტინში მოთავსებული პირის სათანადო სამედიცინო მომსახურება;
- მცირეწლოვნის ან/და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის იზოლაციასა ან/და კარანტინში მოთავსების შემთხვევაში, ამის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს მის კანონიერ წარმომადგენელს.

ფიზიკურ პირს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.⁵¹

⁵¹ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 11.



საგანგებო მდგომარეობის მოქმედებისას იძულებითი სააღსრულებო წარმოება

საქართველოს მთავრობის N181 დადგენილების თავდაპირველი 2020 წლის 23 მარტის რედაქციით, კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს შეჩერდა/გადაიღო სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვნის საქმეებზე დანიშნული სააღსრულებო მოქმედებები, შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ საქმეებზე დანიშნული სააღსრულებო მოქმედებები, აღმასრულებლის ის უფლებამოსილებები, რომლებიც გულისხმობდა მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებისა და აუქციონზე გაყიდვის გზით თანხის მიღებას, ასევე, ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან და საბანკო ანგარიშებიდან თანხების ჩამოჭრას. გარდა ამისა, შეჩერდა აღმასრულებლის უფლებამოსილებაც, რომლითაც იგი სამართალდამცავ ორგანოებს მისცემდა დავალებას ავტოსატრანსპორტო საშუალების ძებნა-დაკავების თაობაზე და ა.შ. ამდენად, სააღსრულებო წარმოება მოვალისთვის „მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ“ წინადადების გაგზავნით, მოვალეთა რეესტრში მისი რეგისტრაციით და ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციით უნდა დასრულებულიყო.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 მარტის N204 დადგენილებით, აღმასრულებლისთვის დაწესებული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვა გაუქმდა და საქართველოს იუსტიციის მინისტრს მიეცა უფლებამოსილება, შეემუშაებინა აღსრულების განსხვავებული წესები.⁵²

⁵² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 მარტის დადგენილება №204.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის N515 ბრძანებით, შეჩერებულია:

- ფაქტების კონსტატაციის მიზნით დაწყებული წარმოებები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევით გამოწვეული აუცილებლობისა;
- სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვნის საქმეების (გამოსახლება) იძულებითი წესით აღსრულება;
- იმ მოძრავი ქონების აღწერა-დაყადაღება, რომელიც განთავსებულია მოვალის საცხოვრებელ ფართში, ან შესანახად ჩაბარდა მოვალეს ან სხვა პირს;
- გამოსახლების კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისთვის განსაზღვრული 10-დღიანი ვადა და მისი ათვლა დაიწყება/გაგრძელდება საგანგებო მდგომარეობის დასრულებისთანავე;
- აღსრულების ქვემდებარე აქტით გათვალისწინებული მოძრავი ნივთის მოვალისთვის ჩამორთმევა და კრედიტორისთვის გადაცემა.

ამავე დროს, კრედიტორებს/განმცხადებლებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ აღსრულების ეროვნული ბიუროს მოქალაქის პორტალით - my.gov.ge, ან info@nbe.gov.ge-ზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით წარადგინონ შესაბამისი საქმის სააღსრულებო მასალები. ბრძანების მიხედვით, სააღსრულებო საქმისწარმოება დაიწყება სააღსრულებო ფურცლის დედნის გარეშე. მისი წარმოდგენა კრედიტორს საგანგებო მდგომარეობის გასვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ევალება.

იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის/ინფორმაციის ელექტრონული ფორმით წარდგენა ობიექტურად შეუძლებელია, სააღსრულებო წარმოების დაწყების მიზნით, აღსრულების ეროვნულ ბიუროში შეიძლება დოკუმენტაციის წარდგენა მატერიალურად, სპეციალურად საამისოდ გამოყოფილი სივრცის გამოყენებით.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საგზაო-სატრანსპორტო სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის ჯარიმისა და საურავის გადახდის ვადებმა გადაიწია. ამ დრომდე ან საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში დაკისრებული ჯარიმის და საურავის გადახდის ვალდებულება მოქალაქეებს განესაზღვრათ საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ. მთავრობის მიერ

დადგენილი საშეღავათო პერიოდი ეხება როგორც გამოწერილ ჯარიმებს, ისე გადაუხდელ ჯარიმებზე დარიცხულ საურავებს. გარდა ამისა, გარკვეული ვადით ჩერდება გადაუხდელი ჯარიმების გადაგზავნა აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ამასთან, გადაუხდელობის გამო პირს არ შეუჩერდება მართვის უფლება.⁵³

⁵³ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილება საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ, მუხლი 10, მე-2 პუნქტი.



ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებითი გამოწვევა. მსხვერპლებს უწევთ სახლში დარჩენა, რაც მათთვის, შესაძლოა, უსაფრთხო ადგილს არ წარმოადგენდეს. შესაბამისად, მათალია ქალებსა თუ ბავშვებზე ძალადობის რისკები.

ვინ ითვლება ოჯახის წევრად ოჯახში ძალადობის მიზნებისთვის?

ოჯახის წევრებად ითვლებიან: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

9.1. ძალადობისგან დაცვის მექანიზმები

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისთვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.

➤ **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები:**

შემაკავებელი ორდერი

პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი გამოსცემს შემაკავებელ ორდერს, რომელიც გამოცემისთანავე შედის ძალაში.

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით.

დამცავი ორდერი

დამცავ ორდერს გამოსცემს სასამართლო. აღნიშნულის თაობაზე განცხადების შეტანა ხდება საქალაქო/რაიონულ სასამართლოში წერილობითი ფორმით, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ვის აქვს უფლება, დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე განცხადება შეიტანოს სასამართლოში?

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ან/და მსხვერპლის თანხმობით – სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

როგორ და რა ვადით გამოიცემა დამცავი ორდერი?

სასამართლო დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს განცხადების კანცელარიაში რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში. დამცავი ორდერი შეიძლება გამოიცეს მაქსიმუმ 6 თვემდე ვადით. კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით არა უმეტეს 3 თვით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრების მიმართ.

რა მტკიცებულებები/დოკუმენტები შეიძლება წარადგინოს მსხვერპლმა/სავარაუდო მსხვერპლმა სასამართლოში, როდესაც მიმართავს დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე?

- სსიპ 112-ში შესული შეტყობინების/შეტყობინებების ამონაწერი სავარაუდო ძალადობრივ შემთხვევასთან დაკავშირებით;
- პოლიციის რეაგირების ოქმი;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო მომსახურების მიღების შემთხვევაში);
- იმ პირთა შესახებ ინფორმაცია, რომლებიც, შესაძლოა, ფლობდნენ ინფორმაციას ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით (მოწმეები);
- იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს ან რომელიმე სოციალური ქსელის მეშვეობით აწარმოებს კომუნიკაციას, აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით შესაძლებელია ამ ინფორმაციის სათანადო წესით დაფიქსირება, ფაქტების კონსტატაციის ოქმით. დროის სიმცირის შემთხვევაში, შესაძლებელია მიმოწერის ე.წ. სქრინების წარდგენაც.

მტკიცებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა წარდგენაც შესაძლებელია სასამართლოში, არ არსებობს, თუმცა, პრაქტიკაში, დამცავი ორდერის გამოცემისას, ძირითადად, აღნიშნული დოკუმენტები გამოიყენება.

შემაკავებელი და დამცავი ორდერით, შესაძლებელია, გათვალისწინებული იყოს შემდეგი ვალდებულებები:

- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდება და თავშესაფარში მათი მოთავსება;
- მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან გარიდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ადგილი მოძალადის საკუთრებაა;
- მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურსა ან სხვა იმ ადგილთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;

- იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან აკრძალვა, დროებით ჩამორთმევა ან იარაღის შექენის უფლების აკრძალვა;
- სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისთვის.

როგორ და სად საჩივრდება დამცავი და შემაკავებელი ორდერები?

დამცავი ორდერი შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, შემაკავებელი ორდერი - ამ ორდერის გადაცემიდან/ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში საქალაქო/რაიონულ სასამართლოში.

დამცავი და შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე და მათი გასაჩივრება არ აჩერებს მოქმედებას.

➤ სისხლისსამართლებრივი მექანიზმები

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ჩადენის შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია, მიმართოს პროკურატურას/შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

პოლიციისთვის შეტყობინების მიზნით, შეგიძლიათ:

- დარეკოთ გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერზე - 112;
- ისარგებლოთ მობილური აპლიკაციით (112 Georgia), რომლის ინსტრუქცია მოცემულია ბმულზე - <http://112.gov.ge/index.php?m=147>.

დანაშაულს წარმოადგენს ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ შედეგად არ მოჰყოლია ჯანმრთელობის რომელიმე ხარისხის დაზიანება. აღნიშნული ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოს ექვს თვემდე ვადით ან შინაპატიმრობას ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით ანდა თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

მოდალადის მიერ შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, აგრეთვე, სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა ასევე იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ას ოთხმთვიდან ორას ორმოც საათამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა კი, იწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე ვადით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

➤ **სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები**

მოდალადის მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, მსხვერპლი უფლებამოსილია, სარჩელით მიმართოს სასამართლოს. მსხვერპლმა, შესაძლოა, მოითხოვოს როგორც მორალური, ისე მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლს სჭირდება მოძალადისგან განცალკევება, თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი ძალადობის მსხვერპლებს სთავაზობს საცხოვრებელ პირობებს, სამედიცინო, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

თავშესაფარი არის ძალადობის მსხვერპლთა ღრობითი საცხოვრებელი ადგილი, რომელიც მსხვერპლს უწევს პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და ფსიქოლოგიურ დახმარებას. თავშესაფარში პირის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ეს ვადა გაგრძელდეს თავშესაფრის წესდების (შინაგანაწესის) შესაბამისად.

კრიზისულ ცენტრში ხდება მსხვერპლებისა და სავარაუდო მსხვერპლების ღრობითი განთავსება, სადაც უზრუნველყოფენ მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი ასევე უზრუნველყოფს უფასო კონსულტაციის გაწევას ნომერზე: **116 006**.